ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 20.02.09 რიგგარეშე სხდომის

ოქმი №2

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 79 წევრთაგან 38 (სია თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. 2008-2009 წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება

   მომხს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ.
   ასოცირებული პროფესორი დ. ოსეფაშვილი

2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის შესაბამისად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

   მომხს. სრული პროფესორი თ. გაგოშიძე

3. ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამისთვის "საზოგადოება და კულტურა – ემპირიული კვლევები" სამაგისტრო შრომების დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ

   მომხს. ასოცირებული პროფესორი ლ. სურმანიძე

4. "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

   მომხს. სრული პროფესორი გ. გოგსაძე

5. ბიუჯეტზე მომუშავე ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები დიფერენცირებული ხელფასის შესახებ

მომხს. სრული პროფესორი მ. ჩიტაშვილი

6. სახელფასო კრიტერიუმების შესახებ

მომხს. ასოცირებული პროფესორი ლ. სურმანიძე

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. 2008-2009 წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო პროგრამების დამტკიცებასთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ასოცირებულმა პროფესორმა დ. ოსეფაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა სადოქტორო პროგრამები.

დაადგინეს: სხდომამ ერთხმად უყარა კენჭი და დაამტკიცა წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამები(ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 2. საკითხი არ გატანილა მოუმზადებლობის გამო.

მოისმინეს: 3. ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამისთვის "საზოგადოება და კულტურა – ემპირიული კვლევები" სამაგისტრო შრომების დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლ. სურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა სამაგისტრო პროგრამის კომისია.
აზრი გამოთქვეს: სხვადასხვა მიმართულებების სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებმა, რომელთაც მიმდინარე საკითხებში უნდა წარმოედგინათ დასამტკიცებლად თავიანთი პროგრამები, მოითხოვეს აქვე განხილვა.
დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის ყველა მიმართულების სამაგისტრო პროგრამების კომისიების შემადგენლობები (ოქმს თან ერთვის), რომელსაც საბჭომ ერთხმად უყარა კენჭი.

მოისმინეს: 4. "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ.
მომხსენებელმა, სრულმა პროფესორმა გ. გოგსაძემ მოითხოვა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე მეორე უცხო ენაში 20 კრედიტის შემცირება 15-მდე. (წერილი ოქმს თან ერთვის).
დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამაში და უცხო ენაში კრედიტები შემცირდეს 20 –დან 15- მდე.

მოისმინეს: 5. ბიუჯეტზე მომუშავე ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები დიფერენცირებული ხელფასის შესახებ
ანგარიში წინასწარ დაურიგდა საბჭოს ყველა წევრს.
მომხსენებელმა, სრულმა პროფესორმა მ. ჩიტაშვილმა სხდომას გააცნო ჯგუფის მუშაობის შედეგები.
აზრი გამოთქვეს: გ. ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ეთანხმება მომხსენებელს იმაში, რომ ბიუჯეტი არ ითვალისწინებს თანხებს კვლევისათვის, მაგრამ დასვა შეკითხვა თუ რაში მდგომარეობს კონკრეტული რეკომენდაციები და რა მოდელს გვთავაზობს ჯგუფი თსუ ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებული "კატეგორიებად დაყოფის" მოდელის სანაცვლოდ? ასევე განგვიმარტოს თსუ ადმინისტრაციამ, რა სამართლებრივ საფუძველზე შექმნა ხელშეკრულება ა" კატეგორიისთვის.
საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სრული პროფესორების, გ. გოგსაძისა და ი. სალუქვაძის პროტესტი გამოიწვია მოხსენებაში გეოგრაფიის "დოტაციურ სპეციალობად" წარმოჩენამ და გააკრიტიკეს სტუდენტებზე დახარჯული თანხის გამოთვლის ჯგუფისეული მეთოდი.
გ. მაღრაძის აზრით, ორი კატეგორიის შემთხვევაში შრომის კოდექსის მიხედვით დამსაქმებელს უფლება აქვს მისცეს დაქირავებულს ინდივიდუალური ხელფასი. სამეცნიერო კვლევებზე ჯერჯერობით თსუ-ს ბიუჯეტში ფული გამოყოფილი არაა და ადმინისტრაცია ცდილობს კვლევების დაფინანსებას სხვადასხვა ფონდებიდან.
დაადგინეს: საბჭომ ცნობად მიიღო ანგარიში და ითხოვა კრიტერიუმების შემქმნელ ჯგუფთან პოზიციების შეჯერება.

მოისმინეს: სახელფასო კრიტერიუმების დამდგენი ჯგუფის ანგარიში, რომელიც წაიკითხა ლ. სურმანიძემ.
აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძე – კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფის შეფასებით ვიღაც თვითნებურად ყოფს პროფესორებს "ა" და "ბ"კატეგორიებად და მოვა დრო, რომ მე როგორც "ბ" კატეგორიის პროფესორს მომიწევს წასვლა უნტ-იდან. მე ვარ უნტ-ზე ორიენტირებული. ვატარებ კვირაში 8სთ. და რადგანაც ვმუშაობ კვლევით ინსტიტუტში და შეთავსება მაქვს, არ უნდა ვიყო "ა" კატეგორიაში? შეთქმულება მართლაც არის, მაგრამ არა ჩვენგან ინიცირებული. ცუდ გზაზე ვდგავართ. მე ვუცდი რექტორის სახელზე დაწერილი წერილის პასუხს, სადაც ვითხოვ ნებართვას შეთავსებაზე. შრომის კოდექსი შესაცვლელია, იქ მხოლოდ დამქირავებელს აქვს განუსაზღვრელი უფლებები.
ლ.სურმანიძე არ დაეთანხმა მ. მაცაბერიძეს და თქვა რომ ჯგუფს არ განუხილავს შეთავსებების და კატეგორიების მართებულობის საკითხი და ტყუილად ისვრის მაცაბერიძე ქვებს ამ ჯგუფის მისამართით, რასაც დაეთანხმა გ. ჟორჯოლიანიც.
გ. გოროშიძემ თქვა, ვინც მუშაობს 2-3 ადგილზე, რატომ უნდა ჰქონდეს პრივილეგიები და აქაც მომატებული ხელფასი? უხერხულია ყველგან 8-8 საათი მუშაობდე და კიდევ პრეტენზია გქონდეს.
მ. ჩიტაშვილმა სხდომას შეახსენა აკადემიური საბჭოს №169 დადგენილება სადაც წერია, რომ კატეგორიების დადგენის საფუძველი ფაკ-ის წარდგინებაა. ნ. დონაძემ და ნ. ბელქანიამ ამაზე უპასუხეს, რომ მოდელი შეიმუშავა თსუ ადმინისტრაციამ, ფაკ-მა მხოლოდ სიითი შემადგენლობა გადასცა.
მ. მუსხელიშვილის აზრით გაუგებარია მ. მაცაბერიძის უკმაყოფილება. თუ ადამიანი სამ ხელშეკრულებაში მონაწილეობს, რაც ჯამში 24სთ-ია, რატომ უნდა მიიღოს იგივე ხელფასი, რაც ეძლევა მხოლოდ უნტ-ში მომუშავეს. 'ბ" კატეგორიის თანამშრომლებს აქვთ არჩევანის საშუალება. რა არის ამაში ცუდი?

გ.ჟორჟოლიანმა თქვა, რომ კრიტერიუმების ჯგუფი დაეყრდნო უნტ-ის გადაწყვეტილებას და თუ არსებობს კატეგორიები, მათ შორის განსხვავება უნდა იყოს დატვირთვაში. ასევე ხელფასის დიფერენცირება უნდა მოგდეს ერთნაირად, ერთსადაიმავე სამუშაოში ორივე კატეგორიის პერსონალს ერთნაირად უნდა გადაუხადონ.
ხ. ჩარკვიანმა დასვა საკითხი, იღებს კი პროფესურა შემოთავაზებულ კატეგორიებს?
მ. მაცაბერიძემ წამოაყენა წინადადება ყველას ხელფასი გაიზარდოს 50%-ით. პროფესორის მუშაობა შეფასდეს შედეგის მიხედვით და არავინ მოთხოვოს დღე და ღამე სამხახურში ჯდომა. შეთავსება უნდა შეიძლებოდეს.
გ. ჟორჟოლიანმა იკითხა აქვს თუ არა უნტ-ს მყარად გადაწყვეტილი შრომითი ხელშეკრულების ახალ ფორმაზე გადასვლა და წერილობითი პასუხი მოითხოვა თსუ ადმინისტრაციისაგან საბჭოს მიმართვის საფუძველზე.
თ. ლავრელაშვილმა, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ შეთავსების უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, რათა არ დავკარგოთ პროფესორები.
ნ. მაჭარაშვილმა მოიწონა ორივე ჯგუფის მუშაობა და თქვა, რომ ეს პირველი მცდელობა ჯგუფური მუშაობისა მართალია უშედეგოდ დამთავრდა, არ შემუშავდა კატეგორიებად დაყოფის ალტერნატიული მოდელი, მაგრამ მცდელობა უნაყოფოდ არ უნდა დასრულდეს და ჩამოაყალიბა მოთხოვნათა პაკეტი:
1. გადაიხედოს ტარიფები
2. დაზუსტდეს შრომითი ხელშეკრულების პირობები
3.შეიკვეცოს მოწვეულთა რაოდენობა
4.ეთხოვოს ფაკ-ის ადმინისტრაციას 2 კვირის ვადაში გვაცნობოს უნტ-ის ადმინისტრაციის ინტერპრეტაცია შრომითი ხელშეკრულების მხოლოდ უნტ–თან დადების შესახებ.
5. დაზუსტდეს პროფესურის შრომითი ვალდებულებები
ვ. დოლიძემ თქვა, რომ ასისტენტ-პროფესორებს აქვთ დაბალი ანაზღაურება, იგივე რაც სპეციალისტებს.
იგივე აზრი განავრცო ხ. ჩარკვიანმა და წაიკითხა განცხადების ტექსტი ასისტენტ-პროფესორთა დისკრიმინაციის შესახებ (ტექსტი ოქმს ერთვის) და მოითხოვა, რომ ეს ტექსტი ფაკ-ის საბჭოს სახელით გადაეგზავნოს თსუ ადმინისტრაციას.
ალ. კუხიანიძემ თქვა, რომ თუ შეთავსება არ შეიძლება, ის არ უნდა შეიძლებოდეს უნტ-ის შიგნითაც.
ნ. ბელქანიამ თქვა, რომ კატეგორიების მიზანთაგანია ღირსეული ხელფასი მიიღოს მხოლოდ უნტ-ში მომუშავემ და სხვა სამსახურებიდან მოიზიდონ კადრები. მოდელის ნაკლი, სადაც კვლევითი კომპონენტი არ იყო გათვალისწინებული ყველამ შეამჩნია, მაგრამ კვლევები გრანტებით იქნება წახალისებული.
მ. მაცაბერიძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ კატეგორიებად დაყოფა არასწორია, მუშა ჯგუფებს უნდა შეემუშავებინა განსხვავებული მოდელი, რომლის იდეა იქნებოდა ის, რომ შეთავსების აკრძალვა დაუშვებელია.
ლ. სურმანიძემ და მ. მუსხელიშვილმა თქვეს, რომ კრიტერიუმების ჯგუფის მიზანი იყო სამართლიანი, ადექვატური და მოქნილი შეფასების კრიტერიუმების დადგენა არსებული კატეგორიების შიგნით.
დაადგინეს: ფაკ-ის საბჭომ წერილობით მიმართოს თსუ ადმინისტრაციას ახალი შრომითი ხელშეკრულების ინტერპრეტაციის შესახებ.

მოისმინეს:

მიმდინარე საკითხები:

1. თ. გაგოშიძემ დასვა საკითხი დისერტაციების დაცვის ქულებით შეფასების აბსურდულობის შესახებ, რასაც დაეთანხმა ლ. სურმანიძეც.
დაადგინეს: საბჭომ მიმართოს თხოვნით თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დისერტაციის შეფასებიდან ამოიღოს ქულებით შეფასების სისტემა.
2. თ. გაგოშიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა პოლიტოლოგიის მიმართულების დოქტორანტის ბ. ჭედიას დისერტაციის დაცვის თარიღი, 2009 წლის 25 მარტი, 15.00 სთ.
დაადგინეს: სხდომამ ერთხმად დაადგინა დოქტორანტ ბ. ჭედიას დისერტაციის დაცვის თარიღი.
3. დ. ჩიკვილაძემ, ჟურნალისტიკის მიმართულების მოწვეულმა პედაგოგმა სხდომას მოახსენა, რომ აქვს სურვილი ჩაატაროს კონფერენცია თემაზე: "კავკასია-წარსულში, აწმყოსა და მომავალში" და ითხოვა საბჭოს მხარდაჭერა.
დაადგინეს: შეიქმნას კონფერენციის მომწყობი კომისია ი. სალუქვაძის, . ჩიკვილაძის, გ.ჟორჟოლიანის, ნ. დონაძისა და გ. მაღრაძის შემადგენლობით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ნ. ბელქანია, სრული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასისტენტ-პროფესორი

20 აგვისტო, 2009 წ.
N 2

ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სია

ფსიქოლოგიის მიმართულება

1. გაგოშიძე თამარ
2. მაღრაძე გუგული
3. ბელქანია ნოდარ
4. წერეთელი მზია
5. ჯავახიშვილი ნინო
6. ჩიტაშვილი მარინე
7. აბაშიძე თამარ
8. აბზიანიძე შალვა
9. არუთინოვა ლუიზა
10. კუტალაძე ია
11. ყიფიანი გიორგი
12. ნადირაშვილი დიმიტრი
13. ჯორბენაზე რევაზ
14. მელიქიშვილი მანანა
15. ქიტიაშვილი ანასტასია
16. ბაინდურაშვილი ნუგზარ
17. გოროშიძე გიორგი
18. ელიავა მამუკა
19. კვანჭილაშილი ელენე
20. მამუკაძე შორენა
21. ფირცხალავა ეკატერინე

პოლიტიკური მეცნიერება

1. კუხიანიძე ალექსანდრე
2. აბაშიძე ზვიად
3. მაცაბერიძე მალხაზ
4. დოლიძე ვალერიან
5. დუნდუა სალომე
6. ჟორჟოლიანი გია
7. მაჭარაშვილი ნანა
8. მუსხელიშვილი მარინა

საერთაშორისო ურთიერთობები

1. რონდელი ალექსანდრე
2. დავითაშვილი ზურაბ
3. ასანიშვილი ფიქრია
4. კოვზირიძე თამარ
5. კაპანაძე სერგი

საზოგადოებრივი გეოგრაფია

1. სალუქვაძე იოსებ
2. გოგსაძე გიორგი
3. ბოკერია მარინ
4. პავლიაშვილი ნინო
5. მელიქიძე ვალერიან
6. დოლბაია თამარ
7. ხუტაშვილი მარი
8. კვინიკაძე გიორგი

სოციოლოგია

1. კაჭკაჭიშვილი იაგო
2. ბერძენიშვილი ამირან
3. სურმანიძე ლალი
4. დურგლიშვილი ნინო
5. წულაძე ლია
6. დონაძე ნათელა

ჟურნალისტიკა

1. ტორაძე მაია
2. ჩარკვიანი ხათუნა
3. ლომიძე ელზა
4. იბერი ელდარ
5. ღვინერია ირინა
6. წერეთელი მარი
7. ოსეფაშვილი დალი
8. ჩართოლანი გიორგი
9. ლომიძე მარინე
10. კაჭარავა ხათუნა
11. ჭალაგანიძე ნინო

სტუდენტური თვითმმართველობა

1. ნახუცრიშვილი კონსტანტინე
2. გოგსაძე საბა
3. ჭანტურია გიორგი
4. ლავრელაშვილი თეონა
5. ცქიტიშვილი თამარ
6. კობახიძე ნიკოლოზ
7. ტარასაშვილი მარიამ
8. კუჭუხიძე ვასილ
9. მირზიკაშვილი ზურაბ
10. თარხნიშვილი თინათინ
11. წერეთელი ელენე
12. ბეჟანიშვილი ანა
13. ნადირაძე დიმიტრი
14. სამხარაძე მიხეილ
15. ალიმბარაშვილი ნანი
16. სართანია ლია
17. ბარამიძე ნინო
18. თორია ლევან
19. მურღულია ცოტნე
20. კურდღელაშვილი ანა

[illegible]:

1. ნ. ჯავახიშვილი - მოვიდა
2. ი. [illegible] -
3. მ. მელიქიშვილი -
4. ნ. [illegible] -
5. ე. ავალიშვილი - ვერ [illegible]
6. მ. [illegible]
7. ე. ჯორბენაძე -
8. ა. [illegible]
9. მ. დავითაშვილი - მოვიდა
10. ც. [illegible]
11. ა. [illegible]
12. ს. [illegible]
13. ნ. [illegible] -
14. მ. კვირიკაძე -
15. მ. [illegible] -
16. ი. კაჭკაჭიშვილი - მოვიდა
17. ნ. [illegible] -
18. მ. [illegible] -
19. ხ. [illegible]
20. მ. [illegible]
21. ნ. [illegible]

ოქმი N 2 - ის დანართი

სამაგისტრო შრომების დაცვის კომისიები

1. ფსიქოლოგია, ხელმძღვანელი: მ. ჩიტაშვილი

წევრები: თ. გაგოშიძე, ვ. ნადარეიშვილი, დ. ფარჯანაზე

2. კონფლიქტების მართვა და ანალიზი, ხელ-ლი: გ. მაღრაძე

წევრები: ე. იბერი, ზ. დავითაშვილი, გ. ხუციშვილი

3. საზოგადოება და კულტურულ-ემპირიული კვლევები
ხელ-ლი: ლ. სურმანიძე

წევრები: ქ. მანჯგალაძე, რ. ჯორბენაზე, ქ. ხუციშვილი

4. კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში ხელ-ლი: მ. წერეთელი

წევრები: რ. ციცქიშვილი, შ. საძაგლიშვილი, ნ. ბელქანია, გ. მაღრაძე

5. სოციოლოგია, ხელმ-ლი: ი. კაჭკაჭიშვილი

წევრები: მ. მუსხელიშვილი, ლ. სურმანიძე, ნ. დურგლიშვილი

6. პოლიტიკური მეცნიერება, ხელ-ლი: მ. მაცაბერიძე

წევრები: ვ. დოლიძე, გ. გოგსაძე, ს. დუნდუა

7. ჟურნალისტიკა, ხელ-ლი: ე. იბერი

წევრები: თ. ჯოლოგუა, დ. ოსეფაშვილი, ნ. ტალახაძე

8. სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია
ხელ-ლი: შ. აბზიანიძე

წევრები: რ. ჯორბენაძე, რ. ქვარცხავა, გ. მაღრაძე

9.სოციალური, ორგანიზაციული და გამოყენებითი ფსიქოლოგია
ხელ-ლი: .გ. ქირია

წევრები: ი.კუტალაძე, ზ. ბიგვავა, მ. კალანდარიშვილი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND
POLITICAL SCIENCES

"24" 02 2009 წ.

№ 225/25-04

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის
უფროსს
ქ-ნ ნათელა ლაცაბიძეს

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის
ნოდარ ბელქანიას

მიმართვა

ქალბატონო ნათელა,

ჩვენი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, რომელიც ჩატარდა ა. წ. 20 თებერვალს, აკადემიური პერსონალის გარკვეულმა ჯგუფმა მოგვმართა თხოვნით თქვენს წინაშე დაგვესვა შემდეგი საკითხები:

- რა სამართლებრივი საფუძველი აქვს შრომითი ხელშეკრულების მხოლოდ თსუ-სთან დადებას.
- რით ხელმძღვანელობდა ადმინისტრაცია თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისას A" და B" კატეგორიების შემთხვევაში და რატომ აქვთ ასისტენტ-პროფესორებს ე.წ. "დისკრიმინაციული" დატვირთვა და ხელფასი (განცხადება თან ახლავს).

პატივისცემით,

ნოდარ ბელქანია
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ხუბუას
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 იანვარს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო N169 დადგენილება, რის საფუძველზეც აკადემიური პერსონალის, კერძოდ, „ა" კატეგორიის სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების ანაზღაურება განისაზღვრა შემდეგი სახელფასო განაკვეთებით: 2000 ლარი, 1600 ლარი და 900 ლარი. შესაბამისად გაიზარდა ყველა კატეგორიის პროფესორთა საათობრივი დატვირთვა, მათ შორის ასისტენ-პროფესორთა დატვირთვაც (12 საათი საუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო).

ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება ასისტენტ-პროფესორთათვის ხელფასის 900 ლარით განსაზღვრის შესახებ აკადემიურ საბჭოზე წარსადგენად და რა არგუმენტებითა და მოტივაციით ისარგებლეს აღნიშნული გადაწყვეტილების ავტორებმა.

2008 წლის 4 მარტის N1ს/ა 23-ის თანახმად პროფესორების (სრული, ასოცირებული, ასისტენტის) სახელფასო განსხვავება განისაზღვრებოდა შესაბამისად 900, 700 და 540 ლარის ოდენობით, ანუ საშუალოდ განსხვავება შეადგენდა 200 ლარს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელფასო განაკვეთების ოდენობა განსაზღვრულ იქნა არადემოკრატიულად, ჩვენი ინფორმირების გარეშე, მეტიც დისკრიმინაციულად, რადგან ასისტენტ-პროფესორი 24 საათიანი დატვირთვისთვის მიიღებს 700 ლარით ნაკლებს ვიდრე ასოცირებული პროფესორი და 1100 ლარით ნაკლებს ვიდრე სრული პროფესორი. მაშინ, როდესაც ასისტენტ-პროფესორთა უმრავლესობა ასრულებს კანონით დაკისრებულ მოვალეობებზე მეტს, კითხულობს სრულ სალექციო კურსს, ხშირ შემთხვევაში ექსკლუზიურს.

„ბ" კატეგორიის ასისტენტ-პროფესორთათვის ასევე მიუღებელია საკმაოდ დიდი საათობრივი დატვირთვა და განსხვავება საათობრივ ანაზღაურებაში „ა" კატეგორიის ასისტენტ-პროფესორებთან შედარებით.

რადიკალურად გაზრდილი საათობრივი დატვირთვა მოითხოვს ასისტენტ-პროფესორთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას, (უნივერსიტეტში არ არსებობს კაფეტერია, არა არის საკმარისი აუდიტორიები და ფართობი პროფესორების ინდივიდუალური მუშაობისთვის, აგრეთვე არასაკმარისია კომპიუტერების რაოდენობა) .

ახალ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის, ჩვენ ჩაყენებული ვიყავით ფორსმაჟორულ ვითარებაში, რადგან ხელის არმოწერის შემთხვევაში ჩვენ -ვერ მივიღებდით ახალი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელფასებს, ხოლო პრაქტიკულად არ გვქონდა საშუალება დავლოდებოდით საბიუჯეტო და კრიტერიუმების შემმუშავებელი კომისიების დასკვნებს, საათობრივი დატვირთვისა და სახელფასო განაკვეთების მართლზომიერი განაწილების შესახებ.

გთხოვთ ჩაერთოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში, მოგვაწოდოთ ინფორმაცია განცხადებაში დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით და

იმსჯელოთ ასისტენტ-პროფესორებისთვის ხელფასის მომატების თაობაზე ძველი ხელფასების განსხვავების შესაბამისად.

ჩვენს თხოვნას ვადასტურებთ ხელმოწერებით:

1. ჟურნალისტიკის მიმართულება:

ხათუნა ჩარკვიანი
მაგდა მემანიშვილი
მარინა ლომიძე
ელზა ლომიძე
ირინა ბიჭიკაშვილი
ირა ღვინერია
ნინო ჭალაგანიძე
ხათუნა კაჭარავა
როზეტა დანელია
ნათია კუპრაშვილი

2. სოციოლოგიის მიმართულება:

ნათელა დონაძე
მარინა ბურძენიძე
შორენა თურქიაშვილი

3. ფსიქოლოგიის მიმართულება

ეკა ფირცხალავა

4. საზ.გეოგრაფიის მიმართულება:

გია კვინიკაძე
დავით აბესაძე
გია მაისურაძე
იოსებ ჩახვაშვილი
ბაადურ წერეთელი
მარი ხუტაშვილი

5. პოლიტოლოგიის მიმართულება

ზვიად აბაშიძე
გურამ აბესაძე
ავთანდილ ტუკვაძე
ვალერი დოლიძე

6. საერთაშორისო ურთიერთობები:

თორნიკე თურმანიძე
სერგი კაპანაძე